

რედაქცია

გაზეთის რედაქცია... ვ. შუბინის სახლში... ქუჩის კვეთა... ხელის-მომწერა... მისთვის თუ სხვისთვის... რედაქციაში „დროება“.

„დროების“ ფასი:

თვედნა... 9 მან. წლისთვის... 3 მან. კვარტალისთვის... 5 მან. კვარტალისთვის... 1 მან.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოსმალეთის ბარდა

ფასი განსხვავებისა

დღის ანუ ერთი კვირის... თვედნა... წლისთვის... კვარტალისთვის... მისთვის თუ სხვისთვის... რედაქციაში „დროება“.

გაზეთის რედაქცია... ვ. შუბინის სახლში...

საზაფხულთა თეატრში
დღეს, 27 იანვარს
ბ ა ნ ე მ ი ს ი

ნ. პ. გაბუნიასი

ძარბაზის დრამატული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ორი ობოლი

მ ა ლ ი

დრამა 5 მოქმ. და 8 სურათად რუსულიად გადმოკ. ავ. საგარლისაგან. პენტრაქტებში იმღერებს მოზენეფისე. ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში. დასაწყისი 7 1/2 სანთზე

ტელეგრაფი

(ს. ხალათაშვილის ტელეგრაფის სააგენტოსი...)

კაბარბურლი, 25 იანვარს. „მეგობრების მოამბეში“ დაბეჭდილია უმაღლესი განკარგულება მეორე განყოფილების გაუქმება და იმის მაგივრად განკარგულ განყოფილების დაარსება სახელმწიფო რეკვიზიტთან. ამ განყოფილების უფროსად დანიშნება ერთი წევრთაგანია სახელმწიფო რეკვიზიტის უფროსად.

„დროების“ ფელტონი, 27 იანვარი.

სამი სიტყვა

ანკელაზებ რას ქვეყნად მოქვედნიე, განს ბრწყინვალე ნათლის შუქი მომიფინე, რცხებითის სისხრულის ალერსით მსწრაფელ მიმონე, გულს ტრფობა მგვრძნობინე!

შენ მნათობის შესვლით სულს განკურნებ, მაგრამ ტყვედ ქმნილს გულს ერთ წამს და მიდუნებ, და წელურისგან სხნილს მისვე მომაკვდინებ,— ნუ მცდუნებ, ნუ მცდუნებ, მცდუნებ!

ბედან შენთან მე მრავალ გზის მამინა უშოფთავალი სიამე მომაკვლინა, უსვის ხელით მან ბრწყინვალე წამები უსვად მიძღვნა, დამატებ და მალხინა.

შენ დიმილით განებას მინათლებ, დამწვარს იმედს და რცხებას მიმართლებ, და ზეცის ძალს უღირს მონას მომძადლებ, ნუ მიმუხთლებ, ნუ მიმუხთლებ, მიმუხთლებ!

შენ მიმუხთლებ... აწ თვალთ ცრემლი მცვივდება, დღე სიამის მწუხარედ მიბნელებ; საუკუდური, მუქარა და ჩივილი გულში შოფთავს, გულს აწკება, ზვავდება!

ვისა, რომელსაც უფლება ექნება მინისტრთა კომიტეტში დაესწროს და საჭიროების დროს პირდაპირ მანსსენს ხელმწიფეს საქმეები. ამ თანამდებობაზედ დანიშნა სენატორი სტარცკი.

კაბარბურლის ბირჟა, 25 იანვარს.

ბანკის ბილეთები:	2ან. კაპ.
პირველი ვამოცემისა—	94—87
მეორესი — — — —	91—37
მესამესი — — — —	91—50 1/2
მეოთხესი — — — —	91—14 1/4
მეხუთესი — — — —	90—87
აღმოსავლეთის პირე.—	90—75
აღმოსავლეთის მეორე	90—37
აღმოსავლეთის მესამე	90—37
ოქრო, 1/2 იმპერიალი	8— 5

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

პირველი სესხის — —	218—75
მეორე სესხის — —	216—75 1/2

100 მანეთი ღირს:

ლონდონი — 24—71	პენსი
ბამბურლი — 210—75	ცენტრი
პარიჟი — 259—75	სანტიმი

ან დაფარავ, ცხარე ცრემლითა გვადებ, ჩემს შემოქმედს უკვე დღეც ღამაც ვსტადებ; და ამასთან შენგან მკვდარი შენც გვედრებ: ნუ განმაგდებ, ნუ განმაგდებ განმაგდებ!...

მეჭვრისევი. თეოფ. კანდელაკი.

დიანბეგი, რომელსაც არა მცირელი შეეშინდა ამ სიტყვებისა უკან მიდგა და შესძახა ყაზახებს: — რას უდგენართ? — დაიჭირეთ, შეჭკარით!

ნისაულეებმა ვერ შესწონეს ივოს, რომელიც ანთებულის და გაცვიცხლებულის თვალებით პირ-და-პირ დიანბეგს უყურებდა; ივოს ამის გამო ვერ შეამჩნია ბირგოლას მოძრაობა, რომელიც ჩუმად უკან იდგან უვლიდა.

მტან ჯველს მდგომარეობაში გაატარეს რამდენიმე წუთი. მრთბაშად ივოს იგრძნო, უკან იდგან მოხვეული ბირგოლას ხელები, რომელთაც მაგრა ჩაებოკათ ისა.

ივოს შეიბძოლა და თუმცა ვერ გაეშვებინა, მაგრამ თითონაც ხელის გაღება მოასწრო.

*) ის. „დროება“ № 17.

სამონღლის ჰირის მოსახრობლად

თფილისი, 26 იანვარს.

აღრეც იცოდა ჩვენს ქვეყანაში საქონლის ჰირი; მაგრამ უკანასკნელ ომიანობის შემდეგ თითქმის წელიწადს არ გაუფლია, რომ ხან ერთსა და ხან მეორე კუთხეში არ გაჩნდეს ჰირი და არ დაზარალოს ჩვენი სოფლის მუშა-ხალხი.

ზოგან გლეხისთვის ერთი უღელი ხარი ანუ კამბეჩი მთელ იმის გამოზრდელ და გამოძვევს სახარს შეადგენს; ეს არის იმის ბევრსა გამოზრდელიც, იმის შემის მომტანიც, მინელიც, მოწეული ჰირნახულის მომტანიც და სხვ.

ესაღია, თუ რა ზარალი მიეცემა გლეხს როდესაც ის ამ თვის გამოძვევს საქონელს აკლდება.

ამიტომაც მთავრობისაგან, რომელიც მომეტებულ ნაწილად აგრეთვე ამ გლეხის შემოსავლიდამ არსებობს, დიდი ყურადღება და მზრუნველობა უნდა ჰქონდეს, რომ გლეხს არ მოაკლდეს ეს უმთავრესი სახარის ხელმწიფისა, ბატონისა, ერისა და თავის საკუთარ ცოლ-შვილის ყველა მოთხოვნილებათა და ეკლდებულდებათა დამაკმაყოფილებელი, პასუხის-გამცემი საქონელი.

ბირგოლა იყო მაღალი, მხარ-ბეჭვადმული და ღონიერი. ამისთვის პირველ დაქნეაზედ ის ყოჩაღად გაუმბარდა ივოს, რომელიც ცლილობდა მხოლოდ თავის განთავისუფლებას იმის ხელიდგან.

— ბირგოლა! რაი მმართებს შენი? მამიშვი, მომზორდი, თორემ ღეთის მადლსა სისხლი მოვიდა ყელში, გაანჩხლებით და კბილების ჩქიკილით უთხრა ივოს.

ბირგოლამ პასუხის მაგიერად ის ძალხედ დაიქნია, მაგრამ ივოს აღვილიც ვერ აცვლინა.

— დაჰკარით! დაჰკარით! შბძანა დიანბეგმა.

— რაისთვის მრევე მეზობლების სისხლში, შენ თითონ მოხვიდე, თუ გულს გერჩის?

ამ სიტყვების გათავება ძლივს მოასწრო იმან, როდესაც უკან იდგან ხლმის ყუა მოხვდა თავში და თვალთ დაუბნეღდა.

— აი, თქვე უღმერთონო, დაუნდობნო! ძლივს მოასწრო იმან და მოუქნია ბირგოლას ხანჯალი, მაგრამ ხმალი მეორედ მოხვდა და დარეტიანებული დაეცა მუხლებზედ.

ამ დროს, დიანბეგისგან წაქეზებუ-

შოველთვის, როდესაც ჩვენში საქონლის ჰირი გაჩნდება, ძავეკასის სამეურნეო საზოგადოება დიდ ფაცუფუცს შეიქმს: იკრიბება, სჯიან, გაცხარებული ბაასი აქვთ და ბოლოს ყოველთვის ერთსა და იმავე დასკვნამდინ მივლენ: აუცილებელად საჭიროა, რომ დიწეროს წიგნი, რომელშიაც სახალხო ენით ახსნილი და გარკვევით ნაჩვენებ იყვინ—თუ რა ნიშნებია საქონლის სხვა-და-სხვა ავადმყოფობისა, რა წამალი მოუხდება იმას, როგორ უნდა მოვლა და სხვ. ამგვარად შედგენილი დარიგების წიგნი უქვევლად უნდა ადგილობრივ (ქართულზე, სომხურზე და თათრულზე) გადაითარგმნოს და დაუარიგდეს ხალხს, ყოველ საზოგადოებაში, ყოველ სოფელში რამდენიმეო.

რალა თქმა უნდა, რომ ეს ძალიან კარგი პირ-და-პირი საშუალებაა. მაგრამ მართა აზრის გამოთქმაში რაღია საქმე; საქმე იმაშია, რომ გამოთქმული აზრი სისრულეში მოვიდეს, განხორციელდეს. და აი აქ ვერ ვხედავთ მოქმედებას და საქმეს ძავეკასის სამეურნეო საზოგადოებისას: ის მართა სჯით, მოლაპარაკებით იწყებს და ამითვე ათავიებს საქმეს.

შმაღლესს მთავრობას ისე კარვად ესმის სოფლის მეურნეობისათვის და

ლი, ოსის ყაზახები მისციევენ და მაგრად შეჭკრეს.

ივოს ჩქარა მოვიდა გონს, წამოხტა ფეხზედ, გაიბრძოლა რამდენჯერმე, მაგრამ თოკებმა, რომელიც ჩასჭირებოდა ხელებში, სისხლი შეუყენეს ძარღვებში და მკლავები იქამდინ დაუღუნეს, რომ მოძრაობაშიაც კი ვეღარ მოჰყვანდა.

— ბირგოლა! რაისთვი მომექეცეოე?... რაი ჯაგრი მოგაგონდებოდა? ააუ! დიაცი ყოფილხარ.

— ზაჩუმი! ბაწყვეტინა დიანბეგმა და რამდენჯერმე გადაჰკრა მართა.

ივოს კბილები გააღრქიალა ჯაგრისაგან და თავ დევიწყებით მივარდა იმას, მაგრამ ხელებ შეკრული რას დააკლებდა და მეტის მწუხარებით რამდენიმე მსხვილი, ცხარე ცრემლი-ღა გადმოსციედა.

— უღმერთო, უსამართლო! შთხარ, ამჩხონ მაინც, თუ არა და რას მემართლები?

— მაგას ხელ შეიტყობ! შპასუხა დიანბეგმა მკაცრად.

ივოს წაიყვანეს ისე შეკრული, რათა შეეგდოთ იმ ოთახში, რომელსაც სატუსალოს ეძახდნენ და რომელიც ზაფხულობით იყო საბუღარი

სახელმწიფო ხაზინათვის საქონლის მნიშვნელობა, რომ, უეჭველია, ის არასოდეს არ დაზოგავს რამდენსამე ათასს მანეთს ამ გვარ ბროშურის, დარიგების შესადგენად, დასაბეჭდად და ხალხში დასარიგებლად. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ძველკასის სამეურნეო საზოგადოების მხრით შუამდგომლობა და წარდგენა.

ამას გარდა, რაც უნდა კარგად იყოს ეს დაბეჭდილი დარიგება შედგენილი, ხშირად, ხალხის უმეცრებისა გამო, ის ბევრ სარგებლობას ვერ მოიტანს; ხილბი წიგნიდამ ვერ გაიგებს ხშირად—თუ როგორ უნდა მოვლა და წამლობა საქონელს. ამისთვის საჭიროა პირუტყვის ექიმები, ნასწავლი და გამოცდილი ვეტერინარები გვეყნდეს. ახლა მთელს გუბერნიასზე, თუ არ ვცდებით, ორი თუ სამი ვეტერინარია მხოლოდ. ამ ორმა-სამმა კაცმა რა უნდა გარეგონს, როდესაც ოთხ-ხუთ ადგილას საქონლის ჭირი ჩნდება? სანამ ერთს სოფელში მოვიდოდნენ, დარიგებას მისცემდეს ხალხს, თუ როგორ უნდა მოვლა, წამლის მიცემა და სხვ., მანამ ოთხ-ხუთ პეზობელ სოფლებში სრულებით ამოწყდება საქონელი.

ამ ნაირად; ორი საშუალებაა ამ შემთხვევაში ხალხის დასახმარებლად: ხალხისათვის გასაგებ ენაზე დარიგების გამოცემა და პირუტყვის ექიმების, ვეტერინარების გამრავლება, ისე რომ თითო უფლებში თითო ვეტერინარი მანაც იყოს.

მართალია, ამით იქნება ხაზინას ცოტა ხარჯი მიემატება; მაგრამ ეს ხარჯი ერთი-ათად და ერთი-ოცად შეეფასება ხაზინას და ერთი-ათად უფ-

ყოველი გვარი ქვე-მძრომებისა და ჭია-ღუებისა—ზამთარში-კისაყინულზე, რადგანაც ცეცხლს იქ არ ანთებდნენ და დამსხვრეულის ფანჯრებიდან ქარი თავისუფლად შემოქმუტუნებდა.

იავო თუმცა ყმა იყო და მაშასადამე დაჩევილი ყოველ გვარს ჯაფას და მოთმინებას, მაგრამ მთის წმინდა ჰაერსაც და იქაურს ჩვეულებასაც იყო შეჩვეული. ის თავს იკლავდა და გულის ინტეჟადამ ამ შემთხვევით. იმას მაგალითად ჰქონდა თავის მამა-პაპათ ცხოვრება, იმათი სირცხვილი ჯერ კიდევ სირცხვილად მიაჩნდა და სახელი—სახელია. ის ჯერ კიდევ არ გარყენილიყო, იმ ახალ ნიდაგზედ რომელზედაც ის დაეყენებინა ახალ ცხოვრებას და წყობილებას; ამისთვის იმისი შეგდება სატუსალოში, მეზობლისგან ღალატი, რომელიც ჩვეულებისამებრ, პირ-და-პირ არა მტრობდა, უსამართლო მტრისაგან მათრახით ცემა გულის უთუთქაედნენ და აგონებდნენ წარსულს ნეტარებას, როდესაც მტრობა, თუ მოყვრობა აშკარა და პირ-და-პირი იყო....

ის იტანჯებოდა ამ სატუსალოში, სადაც შეეგდოთ და თუმცა გათენებამდინ, მხოლოდ რამდენიმე საათი რჩებოდა, იმას ყოველი წუთი საუკუნედ რჩებოდა.

რომ მომეტებულ სარგებლობას მოუტანს ჩვენ მეურნეობას, ვინემ ბახებისა და პუჩინბახებისათვის ხაზინადამ ორი-სამი ათასი თუმნობით გაცემა ერთად მეურნეობის გასაუმჯობესებლად.

დღიური

ჩვენმა ძალაქის ზამგეობამ ამ დღეებში წარუდგინა უმაღლესს მთაერობას დასამტკიცებლად ჩვეისაგან მიღებული პროექტი „ძალაქის საზოგადო ბანკისა“. ამ წესდებასთან ერთად ზამგეობამ ფინანსთ სამინისტროში წარადგინა განმარტებითი ქაღალდი, რომელშიაც მოხსენებულია—თუ რამდენად საჭიროა ქ. თფილისისათვის ამ გვარი ბანკი, სადაც ღარიბ ხალხს შეეძლოს მცირე სარგებლით ფულის შოვნა სასესხებლად და რამდენად გამოიხსნის ამ გვარი ბანკი იმ სსუდნი კასებისაგან, რომელნიც ასე გამრავლდნენ ამ უკანასკნელ დროს ჩვენს ქალაქშია, რომელნიც უშეგლებელის სარგებლის გადახდით სულს აძრობენ გაჭირებულ ხალხსა და სხვ.

რადა თქმა უნდა, რომ ამ გვარი ბანკი დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენი ქალაქის ღარიბ მცხოვრებთა; მაგრამ იმის მალე დამტკიცებას, მგონია, დაბრკოლება მოელოს; ამ დღეებში გახვებში დაბეჭდილი იყო პეტერბურლიდამ მიღებული ტელეგრაფმა, რომელიც გაცნობებდა, რომ ქალაქის საზოგადო ბანკის წესდებათა გადასათვლიერებლად ფინანსთ მინისტრმა ბუნგემ ცალკე კამისია დანიშნაო, რომელშიაც ამ გვარ ბან-

იავოს მებატონე ერთი იმ დაცემულს სახლთაგანი იყო, რომელთაც ყველა ნაჩაღნიკის წინ ზურგის ხრანდებდა, მაშასადამე იმას ამ მხრიდან არავეითარი შემწეობის იმედი არ ჰქონდა.

— რაისთვი დამიჭირეს, რას მემართლებოდნენ? ათასჯერ ჰკითხავდა იავო თავის თავს, მაგრამ ყოველთვისინ ერთსა იმავე დაგადაწყვეტილებასზედ მიდიოდა:—შღეთონი არიან უსამართლონი!

ის კიდევ ამ სიტყვებს იმეორებდა, როდესაც მზე ამოვიდა და კარგა ადგილი მოიარა.

ბატონმა დიანბეგმაც ინება გაღვიძება და თვალბის გახილბასთან ერთად მოიწოდა თავისი ერთგული იასაული ბირგოლა, რომელიც კარებთანვე ელოდა.

— ბირგოლა! მოისმა დიანბეგის ძახილი.

— ბატონო! იყო პასუხი და შეალო ბირგოლამ კარები.

— წადები გაწმინდე?

— ღიან, შენი ჭირიმე.

— მომართვი.

ბირგოლამ მიართო წადები, ჩააცვა ტანთ და პირსაბანად იარალი მოუშხადა.

დიანბეგმა, მსუქანს ხელებზედ წყნა-

კების ათი გამგებელიც მოიხმო ჩივის საკითხავად. მაშასადამე, სანამ ეს კამისია თავის საქმეს არ გაათავებს, სანამ ის ახალ წედებას არ შეადგენს, საფიქრებელია, რომ მანამ თფილისის საზოგადო ბანკის დამტკიცებას არ უნდა მოველოდეთ.

* *

ძალაქში გავრცელდა ხმა, რომ ამ უკანასკნელ დროს ცუდი, დამალი თევზის შემოტანა დაიწყეს. ამბობენ, რომ ამ გვარ გაფუჭებულ თევზს უფრო მუთაისისკენ გზავნიან და იქითგან სოფლებში ვრცელდებო.

ურივო არ იქნება, რომ ჩვენმა და მუთაისის ძალაქის ზამგეობამ მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და თუ ექიმების შემოწმებით აღმოჩნდება, რომ თევზი მართლა გაფუჭებულია, აღკრძალონ იმის გასაღება.

* *

თითქმის მთელი წარჩინებული ქართველობა დაესწრო გუშინ წინ, კვირას, მიცვალებულის თ. დმიტრი მახტანგის-ძის მარბელიანის დასაფლავებაზე; ჩვენი ლიტერატურისა და სცენის წარმომადგენელთაც სცეს მიცვალებულს უკანასკნელი პატივი. მუშავეთის ეკლესიაში გარდაიხადეს პატივითი და იქვე დასაფლავეს მეუღლის საფლავის გვერდით. საღამოს, მიცვალებულის პატივის-საცემლად, ქართული წარმოდგენა გადადგეს.

* *

ღღეს ოთხშაბათ საღამოს საზაფხულო თეატრში დანიშნულია ჩვენი ნიჭიერი აქტორის ნ. მ. ზაბუნის ქალის ბენეფისი. წარმოდგენენ ბ. ა.

რად გ. დიკეცა პერანგის სახლები და დაიწყო პირის ბანა.

მს წუთები ბირგოლამ, რომელიც დიანბეგს იქაც კი ეხმარებოდა, სადაც დახმარება სრულებით საჭირო არ იყო, საუკეთესოდ დაინახა, რათა ლაპარაკი დაეწყო.

— წუხელის ძალიან კი მოვასწარი, შენი ჭირიმე, იმ ბიქს.

— ხომ არ გატყუებო?

— აბა უთქვენოდ იმასთან ლაპარაკს ვინ გაბედავდა?

— სწორედ ვგაქურდავდა მექლეშებს, სხვა არაინ! შენ როგორა გგონია?

— მაგის მეტი ვინ იქნებოდა, შენი ჭირიმე, კვერი დაუკრა ბირგოლამ და ცოტა სიხუმის შემდეგ, გაქნილი კაცის ღიმილით გააგძელა:

— ღმერთმა მოგცესთ იღბალი, გქონიათ, შენი ჭირიმე.

დიანბეგს იამა ეს სიტყვები და გაიღიმა.

— მანაც ძალიანა სცნობთ აე-კაცსა, დაუმატა ბირგოლამ.—პი ეხლა, მთელს ხევში ისე მოგახსენებენ, შენი რისხვა არა მაქვს, რომ თქვენ არა გამოგვპარებათ-რა.

დიანბეგი უფრო აღიტაცა ამპარტანებამ.

— შენ მე ყოჩალი მყევხარ ბირ-

ცაგარელისაგან ფრანცუზულიდამ გაღმოდებულ ხუთ-მარქეტებანს—ღრამა, რომ აბოლდა... მტრისაქმში მობენფისე ქართულ სიმღერებს იმღერებს.

ჩვენი მოწვევა არ ეჭირება თფილისის ქართველ საზოგადოებას ზაბუნის ქალის ბენეფისზე, რადგან ვიცით, რომ უამისოთაც არ მოიკლენ ბენ შემთხვევას, რომ ახალი პიესა ნახონ და ამ ახალს პიესაში ხელოვნური თამაში მობენფისისე და იმისავე საამო სიმღერები გაიგონონ.

* *

იმ ფურთას, რომელიც 15 იანვარს ყოფილა შავს ზღვაზე და რომელსაც დიდი ხარალი მიუცია შოთის ნაეთ-სადგურისათვის. ზაზ. ძაგახში იწერებიან, რომ მოხუცებულბისაც არ ახსოვთ შავს ზღვაზე ამისთანა ღელვოა; ორ საჟენ სიმაღლეზე ისროდა წყალსაო და ისეთის ძალით ეცემოდა ახალ ნაეთ-სადგურის კედლებს, რომ დაამტვრია და იქიდან ორი უშეგლებელი მაშინა, ერთი 6,000 ფუთის სიმძიმე და მეორე 10,000 ფუთისა, წყალში გადაადგოვა. დაღუპულა აგრეთვე ორი პატარა ცეცხლის-გემი, რომლებიც ნაეთ-სადგურზე მუშაობდნენ; ეს ორი გემი და აგრეთვე ერთი ბერძნის გემიც აწგო, რომლითაც სიმინდს ეზიდებოდნენ, ზღვის ნაპირზე გამოუგდია, ხალხი კი არაინ დაღუპულა.

შოთელები ძალიან შეწუხებულს და დაფიქრებულები არიან ამ ნაეთ-სადგურის გაფუჭების გამოვო, ამბობს კორრესპონდენტი, რადგან არ იცი-

გოლა, ყოჩალი წუხანდელი ქცევისთვის, მე შენ უთოოდ ჯვარზედ წაგადგენ.

— შენი წყალობა ნუ მომაკლოს ღმერთმა.

— იავოს ბატონი ხომ არ მოსულა? იკითხა დიანბეგმა.

— როგორ არა, შენი ჭირიმე, კარებზედ გახლავსთ.

ამის შემდეგ ლაპარაკი გადავიდა იმ საგანზედ, თუ რას უზამდა იავო მობარულს ფარხას. ბირგოლამ დაარწმუნა დიანბეგი, რომ ფარხას არამც თუ თავის ბატონთან მიიტანდა, რომელსაც თითქმის კუჭი უხმება შამშილით, არამედ, რომ თითონ ბატონიც უეჭველად ერგოდა ამ საქმეში.

მს ერთგული ყმა, რომელსაც სურდა იავოს დაღუპვა და სეინდისიანი ბატონი, რომელიც ისე ბრმად ემონებოდა თავის იასაულ-მოსამსახურის სიტყვებს, ამ საუბარში იყენენ, როდესაც გარედ მომჩივანი, ვინ იცის საიდგან სად და რა უბრალო საქმეზედ მორეკილნი—მოთმინებით ელოდნენ იმის გამოძახებას.

თითონ იავოს ბატონიც კი, რამდენჯერმე თითის წვერებზედ, რათა არ შეეწუხებინა ბატონი დიანბეგი, მიდიოდა იმის საწოლის კარებთან და

ან—კიდევ შეუდგებიან ამ ნაეთ-სად-
გურის განახლებას, თუ არაო. ამზედ
შოთის ბედი და უბედობა არის და-
მოკიდებულიო.

ქართული ისტორია *)

ქართლის სხოვრებას ზოგიერთი
ჭაქტი თავის მოთხოვნაში, როგორც
თვით ის იტყვის, გამოუყრებია სპარ-
სეთის ისტორიადამ. მს ის წყარო
უნდა იყოს, რომლიდანაც მე-XI საუკ-
მისტეს შემდეგ სპარსეთის პოეტს
ძერღუსის შეუდგენია ევროპიელთ
მეცნიერთაგან კარგად ცნობილი ის-
ტორია სპარსეთის მეფეებისა ანუ შაჰ-
ნამე. შაჰ-ნამე და ქართლის სხოვრე-
ბა თითქმის თანახმად გვიამბობენ
ძველს სპარსულ გარდამოცემას. მს
გარდამოცემა უნდა იყოს, ჩვენის ფიქ-
რით, მალკოლმისაგან თავის „სპარსე-
თის ისტორიაში“ გარკვეული წყა-
როები „აბისტანისა“. „აბისტანს“
ხელთ - მძღვანელად ჰქონია ძველი
ფეჰლვეური ხელ-ნაწერი და ზებირ-
სიტყვიერნი გარდამოცემანი, რომელ-
ნიც იმის შემადგენელისთვის მოჰამედ-
ქანისთვის უამბნათ ზაროასტრზე
წინა-სარწმუნოების აღმსარებელთა.
ზაროასტრი, როგორც ამბობენ,
ცხოვრობდა მე-XXV—XXVI საუკ.
მისტეს წინ. ზაროასტრისაგან შე-
მოღებული აღსარება იყო ცეცხლის
თაყვანის ცემა. საფუძველი ამ აღსა-
რებისა იმან თავ და პირველად დას-
დო იმ მხარეში, რომელსაც შემდეგ
დაერქვა ადერბადაგანი (ფეჰლვეურს
ენაზე *azerbijan*—აზერბეიჯან ჰინიშნავს

ცეცხლის სახლს). აქ იყო განთქმუ-
ლი ცეცხლის-თაყვანის საცემი ტაძა-
რი, რომელიც სახელ-იწოდებოდა
ადერ-ზოშასად. აქედამ იმან ის
მთელს სპარსეთში გაავრცელა. აქე-
დამ ცდილობდნენ შემდეგ იმის გავრ-
ცელებას თვით სომხეთში და საქარ-
თველოში. „აბისტანის“ ახლანდელის
კაცობრიობის წინაპარად ჰხადის მალ-
პალს, მეგობრელების ბელს, ინდოე-
ლების ბალისს. ბევრით ადრე შარს-
ტეს მოსვლამდე სპარსეთის მეფეს
ჯემშიდს, შემ-ადიანის დინასტიიდან,
პირველად დაუყვია სპარსეთის მცხოვ-
რებნი ოთხ-წოდებდა: პირველია კე-
თილ-მორწმუნენი, რომელთაც ვა-
ლად ედოთ სჯულის მცნება ერისად-
მი; მეორე—მწერალნი: ესენი შეად-
გენდნენ სახელმწიფო ოქმებს; მესა-
მე—მხედრობა; ნეოთხე—მოვაჭრენი
და მუშა-ხალხი. მს წესი ჯემშიდს
გამოუტანია ინდოეთიდან. ქართლის
სხოვრებაში მოხსენებული აფრიდონ
გბირი, რომელსაც „გველთ უფალი
ბევრად ჯაჭვი“ შეუქრავს და მთაზე
დაუბამს, სპარსეთის გარდამოცემით,
ყოფილა ჯემშიდის შვილი შეხილუნ,
ხოლო გველთ უფალი ყოფილა ზო-
ჰაქი, სახელ-წოდებული აგრეთვე აჯე-
ჰაქად, ესე იგი, ღრაკონად, ჩვენებუ-
რად ვთქვათ, გველაშაად. იმ მთას,
სადაც ის შემტველული თურმე იყო,
სახელ-სდებენ იალბუზად, თევზრანის
მანლობლად მდებარე მთის ზურგს.
ჩვენი იარედი არის იარეჯი, ძე შე-
რიდუნისა. მეკაპოს, ქართლის სხოვ-
რების თქმით, ლეკეთში მგრძნობე-
ლისაგან დაბრმავებული, არის მაი-
ძოსი ანუ შიას-კარი, რომელიც ცხოვ-
რობდა მე-VII საუკ. მისტეს წინად.

მისკარი გამხედრდა მაზნდარანის და-
სამონავებლად, მაგრამ სეფე-დემა ის
დააბრმავა და ციხეში შესვა. სპარსე-
თის ისტორიის პირველ-დაწყებაში
დევებს დიდი მნიშვნელობა აქვთ.
ინდოეთის ბრამანები იმათ აღიარებენ
ღმერთებად, სპარსებრ—უყუთურ სუ-
ლებად ისინი ცხოვრობდნენ კლდეებ-
ში და მთებში, სახელდობრ მაჰის
მთაში, რომელიც დედა-მწის „მუშა-
ადგილს“ შეადგენდა და საილამაც იგი-
ნი ქვეყანას მოაზრებდნენ.

აქედამ სჩანს სპარსული გველენა
ქართლის სხოვრებაზე; გარდა ამისა,
ამ გველენას ქართველების ყოფა-
ცხოვრებაზედაც უმოქმედია. მომე-
ტებული ნაწილი სახელებისა, რომ-
ელთაც „აბისტანში“ და „შაჰ-ნამე-
ში“ აქვთ ისტორიული მნიშვნელო-
ბა, მაგალ., როსტომ, მანუჩარ, შაი-
ხოსრო, ზურაბ, ბარამ, თეიმურაზ,
ზაალ, შარემუხ და სხ., თვით სა-
ქართველომ ძველადვე აქვს მითვისე-
ბული და აქამომდე იხმარება. შწარ-
ხინებულთ პირთ შვილების აღზრდა
უცხო ოჯახებში ჩვეულებად ყოფი-
ლა სპარსეთში. მს ჩვეულება მიუ-
ლიათ სომხეთშიაც და საქართველო-
შიაც. ქართული წოდებები, რომ-
გორც იმათ სტრამონი აგვიწერს, ჯემ-
შიდის კასტებს მოგვაგონებენ. სპას-
პეტი, რომელიც შარნავაზ მეფის
დროდამ მერვე ერისთავად ირიცხე-
ბოდა, იყო სპარსული სიპაჰ-ბედი,
გამოთარგმანებით ჩვენ ენაზე მხედართ
წინამძღოელი. მართ-გვარი სისხლის
სამართალი, რომელსაც ძველად სპარ-
სეთში ევოულობთ და რომელიც
თვით უძველეს ინდოეთის პოემაში

რამაიანშია მოხსენებული და მილე-
ბული მლოინთაგან და მკრამინილ-
თაგან, ყოფილა ცეცხლით თავის გა-
მართლება. მს სამართალი ჩვენც მიგ-
ვითვისებია ისე, რომ მახტანგ მეფეს
თავის სჯულში ჩაურთავს. მს არის
მდულარით ანუ შანთით თავის გა-
მართლება. ძველი ქართველების სარ-
წმუნოებაც სპარსულის ბეჭდით ყო-
ფილა აღბეჭდილი: ჩვენი და სომხე-
ბის არმაში არის სპარსების მრამუზ-
დი, წარმომადგენელი მზისა ანუ
ცეცხლისა. ჩვენ გვეყოლია „მზის მსა-
ხურნი“ სპარსულნი მოგვნი. ჩვენის
ხალხის წარმოდგენაში აქამომდე გავრ-
ცელებულია დევი, რომელიც ამ სა-
ხელითვე იხსენიება. აქ მრავალ ზღა-
პარს საგნად აქვს ელვარე თვალეზი-
ანი, მრავალ-თაგებიანი გველაშაპი,
„აბისტანის“ ზოჰაქი ანუ დრაკონი,
მთაზე დაბმული. მს ზღაპარი ჩვენ
მოგვაგონებს სომხების ლეგენდას არ-
ტავაზზე, ქართველების თქმულებას
ამირანზე. სპარსულს ზღაპრულ გარ-
დამოცემაში არიანი ანუ ამირანი
იყო მაცდური სული, წინააღმდეგი
მრამუზისა და მეფე დევებისა. მს
ლეგენდა ჩვენში იგივეა ახლა, რაც
სომხეთში ყოფილა მე-V საუკ. მოსე
ქორენელი ამბობს არტავაზზე: „მო-
ხუცნი დედა-კაცი იტყვიან, ვითომც
არტავაზი რკინის ჯაჭვით შეკრული,
შემსტველული იყოს კლდის ქვაში,
ვითომც ორი ძალი შეუსუსტებლად
ჰლრნიდეს ჯაჭვს და არტავაზი ცდი-
ლობდეს ქვაბილად გამოვიდეს და ქვე-
ყანას ბოლო მოუღოს, ვითომც მტედ-
ლების კვერის დარტყმით ჯაჭვი ისევ
მაგრდებოდეს. ამისთვისაც თვით ჩვენ
დროს—დაუმატებს ქორენელი—მრა-

*) ის. „დროება“ №18.
წყნარად ჰკითხავდა იქ მდგომს იასაუ-
ლებს:
— ბატონმა (დიანბეგმა) გაიღვიძა,
თუ არა?
— ზაიღვიძა, მაგრამ ჯერ არ გა-
მობრძანებულა, მიიღებდა პასუხად და
წყნარა, სულ განაწული, ისევ თითის
წვერებზედ გამობრუნდებოდა.
ღანარჩენს მომჩივართ კი აი რა
ლაპარაკი ჰქონდათ ერთმანერთში:
— ზავიაუ! რამ მოგიყვანა ამ ყე-
ლის ჰრა მუშაობაში? ჰკითხა ერთმა
მოხუცმა მეორეს, რომელიც სხვათა-
შორის ქვაზედ ჩამომჯდარიყო და
სწევდა ჩიბუხს.
— აბა რაი ვიცი, შენი ჰკირიმე?
თავად დამიბარეს თორემ რაი მომი-
ყვანდა მაგ შარაინებთან?
— მეც არ გამიკვირდა, საჩივრად თუ
ჩამოვიდა მეთქი.
— რაისთვი ჩამოვალ საჩივრად? თუ
სადაო რაიმე გაიხსნა ჩემი მეზობლები
გვერდს არ მყვანან? შევერი ბჭეებსა
და ისინი გაგვასამართლებენ.
— მაინც, რაის თაობაზედ დაგიბა-
რეს? ჰკითხეს კიდევ იმასა.
— აბა რაი ვიცი. ზაიმერა ამაწ
და მემრე დაიწყო: — ჯვართ ვაკვს,
რომ საძოვრებია, თემაც იცის და
ხალხმაცა, რომ ადამის ქამიდგან ჩვე-
ნი სოფლისა ყოფილა. როგორც

უწინ იყო, წელსაც ჩვენმა სოფელმა
იქ გაგზავნა სამოვარზედ თავიანთი
ცნვარი და ჩემი ბაღდაი (შვილი)
სარქლად ამოიჩივებს. მემრე მოსუ-
ლიყო, რაიმე რუსის ყაზახები დესქი-
რათ ცხერები და დახოცას თურმე
უპირებდნენ...
— მაგათზედ უღმერთონი-კი აღარ-
ვინ იქნება, ღეთის მადლმა! ჩაურთო
ვლამაც.
— ჩემ ბაღდას ველარ მოეთმინა
და რუსისთვი დაეკრა...
— აი, შერჩა ხელები! მოიწონეს
მწყემსის საქციელი.
— მხლა გვეუბნებიან, რომ ყაზახს
საექიმო უნდა მისცათო და ადგილი-
კი ნაჩაღნიკის ყორაულის არისო....
— „ნაჩაღნიკის ყორაული?“, საიდ-
გან-ლა მოვიდა.
— აბა, რაი ვიცი!.. მთელმა თე-
მაბამ იცის, რომ ის ჩვენი ადგილია,
ჩვენ-კი საბალახეში სამოც ცხვარსა
გვთხოვენ!... ან მაგდენი ცხვარი სა-
ით მოუყვანოთ, ან ადგილს რაისთ-
ვი გვართმევენ?
— შრჯულონი არიან, ურჯულო-
ნი... სადლაა სპართალი!
— ამ სიტყვებზედ დიანბეგი გამობძან-
და, ხალხი წამოცვივდა ზეზედ და ქუ-
დები მოიგლიჯეს თავიდან.
მებატონე მივიდა, მდაბლად დაუკ-
რა თავი, დილა-მშვიდობისა მოახსენა,

მაგრამ დიანბეგმა, ვითომც ვერ შე-
ამჩინა-ზურგი შეუქცია იმას.
მებატონეს აშკარად შეეტყო პირი-
სახეზედ ის წყენა, რომელიც იქონია
იმანდ „დიანბეგის უსგინდისო სიამ-
პარტანემ და ოხერაში გამოითქვა
ეხლა ისე გამწირებული წარსულის
სიტკბობა.
იმის გულში აღიძრა სიამაყე,—იმან
დინურა ქუდი და თითქოს წელშიაც
გასწორდა. ბოლოს დიანბეგი მობ-
რუნდა იმისკენვე და მოელოდა, რომ
ისევ მებატონე თავის დამდაბლებით
დაიწყებს ლაპარაკს, მაგრამ მოსტლუე-
და, რადგანაც ის გაჯავრებულის,
აღზნებულის თვალებით უყურებდა.
დიანბეგმა გაალო პირი, რომ შე-
ტევით დაეწყო ლაპარაკი, მაგრამ რა
შეხედა მებატონის გაანხლებულს
სახეს და არეულს თვალებს, შეშინე-
ბული რამდენიმე ნაბიჯი უკან წადგა
და დაბალის ხმით დაიწყო:
— ა-ა, თქვენა ბძანებულხართ?
— დიან, მე გახლავართ და ვპო-
ნებ დროც იყო ყურადღება მოგგე-
ცათ.
— უკაცრავად, ვერ დაგიმანეთ.
მებატონემ შეჩედა და ღიმილი
მოუვიდა პირისახეზედ,
— რისთვის დამიბარეთ? რა გნე-
ბავსთ ჩემგან?
— უკაცრავად, რომ შეგაწუხებთ,
დაიწყო იმან ბოდიშით მაგრამ ხომ

მოგესნებით ჩვენი მდგომარეობა? ჩვენ
სამსახურის კაცი ვართ და...
— მოკლედ მიბძანეთ, რაცა გნე-
ბავსთ? ზაწყვეტინა დიანბეგს.
— მე წუხულის შემატყობინეს,
რომ მეაქლემები გაუცარცვათ. მეც
გიახლით გზების შესაკრავად და
თქვენი ბიჭი შეგვხვდა, რომელიც და-
ვიჭირეთ.
— ნაქურდალი უპოეთ რამე?
— არა ბატონო, მაგრამ ქურდი
სწორედ ეგ არის.
— მაშ მე რალად მიბარებდით, თუ
კიდევაც გცოდნიათ, რომ ქურდი ეგ
არის.
— მე მინდოდა თქვენთვის მეკითხა,
შემეტყო...ჰო, იმას მოგახსენებდით...
აერია ლაპარაკი დიანბეგს, რომელიც
ემზადებოდა სხვის შეშინებას და თი-
თონ-კი შეემთხვა ეს უბედურება.
— ჩემთვის რა კითხვა გინდოდათ?
ზამოიძიეთ და თუ დაუმტკიცებთ ჩემს
ბიჭს ავზაკობას გადაახდევინეთ ისე,
როგორც კანონი ითხოვს. ამ სიტყ-
ვებთან ერთად, ის გამობრუნდა და
გასწია ბინისკენ; დიანბეგი-კი გაშ-
ტერებული დარჩა, ამ მოულოდნე-
ლის შემთხვევით.
ა. მონსუბარძი.
(გაგმქელა)

